საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

განცხადება

საზოგადოების აქტიური წევრების, საქართველოს იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც საჯაროდ და მშვიდობიანად გამოხატავენ საკუთარ აზრს "რუსული კანონის" წინააღმდეგ, გრძელდება ორგანიზებული ძალადობის შემაშფოთებელი კამპანია.

მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებები ამ დრომდე ფორმალური და უშედეგოა. კამპანიური მუქარა და ფიზიკური ძალადობა გრძელდება. სამოქალაქო საზოგადოების წევრების, მათ შორისსაქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრების და მათი ოჯახების მიმართ.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, უჩა აბაშიძე პოლიციამ საკუთარ სახლში დააკავა პროცესუალური წესების დარღვევით და მის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის გამოძიება. პოლიციის მოქმედებებმა საზოგადოებაში აჩენს საფუძვლიან ეჭვებს განსხვავებული აზრის გამო დევნის და პოლიტიზირებული მართლმსაჯულების შესახებ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ უჩა აბაშიძეს დროულად არ მისცეს უფლება ესარგებლა ადვოკატის დახმარებით, რითაც დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლება.

ძალადობის და სისხლის სამართლებრივი დევნის სამიზნედ არჩეული არიან "რუსული კანონის" წინააღმდეგ პროტესტის მონაწილენი გამომხატველი, რაც მიუთითებს, რომ ეს განსხვავებული აზრის და საზოგადოებრივი პროტესტის ჩასახშობად ხორციელდება რაც . ქვეყანაში შექმნილი ვითარება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სამართალდამცავი ორგანოები არაეფექტურად მოქმედებენ მოქალაქეთა დასაცავად და მათი მოქმედება პოლიტიზირებულია.

მოვუწოდებთ მმართველ ხელისუფლებას და პირადად პრემიერ მინისტრს:

- გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა კანონიერი შესაძლებლობა მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად. გამოვლიდნონ და მკაცრად დაისაჯონ ამ დანაშაულის ორგანიზატორები და ასევე შემსრულებლები
- უზრუნველყონ რომ პოლიციამ იმოქმედოს მკაცრად კანონის ფარგლებში და უზრუნველყოს მართლწესრიგი, მოქალაქეთა უსაფრთხოება და გამოხატვის თავისუფლება
- მოვითხოვთ რომ ჩატარებული ქმედებების შესახებ მოხდეს საზოგადოების დროული ინფორმირება